



# პრსენალი



18

№ 16 (59). 8 - 21 აგვისტო, 2008. „ქვიჩის პალიზა“. სპეციალურ-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

1425  
2008

**ოვის დანახვის  
ზღვარზე...**

**რეაორბაუი  
ჩრდილოეთ  
საზღვრიდან...**

**კაზაკთა  
ლაშქრობები**

**უბლის ტრიუმფი  
და კაბანტროვები**

**სათვალა  
ღამის  
ბრძოლისთვის**


**ჯაშუსები  
„აკადემიკოსის“  
მანტიაში**






# რეპორაჟი პოლიგონიდან

8



# რუსეთს შავ ზღვაზე თავისი პოლიგონის გადახედავა უხდება

14



# ამერიკული კოსმოსური პროგრამა

24

# FARNBOROUGH AIRSHOW-2008

16



# შეიარაღებული თვალი

40



# რაც არ გაგონებდით ავსტრალიელებს, შვეიცარიელებს დაავიკრიბვინეს

54



# სარჩები

- კალენდოსკოპი
- 4 უცხოური ამბები
- რეპორტაჟი საზღვარიდან
- 6 სახტურის იქით ჩეჩნეთია...
- კონფლიქტის ზონა
- 7 ომის დანაშაულის ზღვარზე...
- რეპორტაჟი უოლინგტონიდან
- 8 ქართულ-ამერიკული სწავლება **Immediate Response**
- შესაძრავის აზარი
- 10 სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება არმიაზე
- გაფრთხილება
- 11 როგორ იწყებოდა ყარაბაღის ომი
- სამხედრო სიხსნაობა
- 12 ახალი ჰიპერბერითი რაკეტები
- მეზოპალეო კარისკო
- 14 რუსეთს შავ ზღვაში თავისი პოლიტიკის გადახედვა უხდება
- აღიარო
- 16 **FARNBOROUGH AIRSHOW-2008**
- საუფსასხაპრები
- 19 ფრთხილად, ჯამუშები „აჯადემიოსის“ მანტიაში გამოეყენენ!
- როგორ იცავენ პრეზიდენტებს
- ქოსმოსი
- 24 **SPACE SHUTTLE**
- გამოჩინილი მხედართმთავრები
- 34 ტირანად ქვეული თავისუფლებისათვის მებრძოლი
- მეზის მსოფლიო ისტორია
- 37 ყავაღერიის როლი შუა საუკუნეებში
- განმელოვები
- 40 შეიარაღებული თვადი
- ორადნი
- 44 იეზუიტთა ორდენი
- მნარა გამოყვნილება
- 47 პატარა ომის მძიმე შედეგები
- ფლოტი
- 50 ყახათა სახლვაო ლამქრობები
- ქოსმოსი
- 53 არსენალის ნარაღის მალაზია
- 54 რაც არ გამოუვიდათ ავსტრიელებს, შვეიცარიელებმა დაგვირგვინეს

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური  
გ. ი. გ. ლ. ი. მ. თ. ე. კ. ა.

## რედაქციის სვეტი

1-ელ აგვისტოს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების შემადგენელ შემოვლით გზაზე ქართველი პოლიციელების პიკაბი ააფეთქეს, ექვსი კაცი დაიჭრა, ერთი – მძიმედ. მანამდე იმავე გზაზე დროებითი აღმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის საავტომობილო კორტეჟი მოხვდა აფეთქებაში...

ჩანს, სეპარატისტებმა და მათთან შეფთმა რუსმა სამხედრო ინსტრუქტორებმა ახალი ძალით დაიწყეს საგზაო ნაღბური ომი ცხინვალის რეგიონში, რათა დიდი ღიახვის ქართული სოფლები მოწყვეტონ საქართველოს.

ქართული მხარის დაეკავტური მოქმედება იქნებოდა მარის შემოვლით გზაზე იმავეს გაკეთება, მაგრამ საბოლოოდ ასეთ საგზაო ნაღბურ ომს გამარჯვებული არ ეყოლება...

ირაკლი ალადაშვილი  
გიორგი შორაშოლიანი

ყურადღება!  
გამოიწერეთ  
„არსენალი“  
და მიიღეთ შინ,  
თვეში ორჯერ!  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73

რედაქციის დაუყოხავად  
მასაღების გადაბეჭღვა  
აჯრძალულია

ყურნალ „არსენალის“  
ქველი ნომრების შექენა  
შეგიძღლიათ რედაქციამი

გახუთ „აკირის პალიტრის“  
ღამტება ©  
რედაქციის მისამართია:  
თბიღისი, იოსების ქ. №49.  
ტელ: 38-37-47  
email: arsenali@kvisripalitra.com  
ყურნალი გამოღის თვეში  
ორჯერ

# პირველი ფრანგული „სეზარი“


საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღების გენერალურმა დეპეკაციამ ქვეყნის ვარებს გადასცა პირველი თეთიძეა-ლი სარტალიერი დანადგარი Caesar-ი (CAmion Equipe d'un Systeme d'Artillerie). წლის ბოლომდე საფრანგეთის არმია კიდევ 7 „სეზარს“ მიიღებს. 2004 წლის დეკემბერში ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად, კომპანია NEXTER-ი (ადრე GIAT INDUSTRIES-ი) საფრანგეთის სახმელეთო ვარებს ახალი თაობის 77 თეთიძეაულ ჰაუბიცას გადასცემს. შეკვეთის, რომლის შესრულება 2011 წლამდე გაგრძელდება, დირებულება უცნობია. საფრანგეთის არმიის ვარა, „სეზარები“ იყიდეს ტალიანდის შეიარაღებულმა ძალებმა და ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ქვეყანამ (სავარაუდოდ, საუდის არაბეთმა).



CAESAR-ი 155მმ-კალიბრისა და შეუქვლია დახურული პოზიციიდან 40 კმ-ის სიშორეზე ცეცხლის წარმოება. ავტო-ულია საბორბლე ფორმულა 6X6 ავტომობილის შასის საფუ-ველზე, რაც უზრუნველყოფს მის მაღალ მობილურობას, მათ შორის ოღრიწილი ადგილებში. თეთიძეაული ჰაუბიცის მაქსი-მალური სიჩქარეა საათში 80კმ, სვლის მარეე საწვავის მიხედუ-ლი 600კმ-ს შეადგენს, ხოლო მასა 18 ტონას, რაც მისი თეთიძე-რე-ნავ C-130 HERCULES-ებთა და A400M-ებთი ტრანსპორტირე-ბის საშუალებას იძლევა.

## ავსტრალიურმა წყალქვეშა ნავმა ამერიკული სომალელი ჩაძირა

პროექტ COLLINS-ის წყალქვეშა ნავმა „ულერმა“ მიმე ტორპედოს ახალი მოდიფიკაცია MK 48 MOD 7-ი გამოცადა. ტორპედო აშშ-სთან ერთობლედ დამუშავდა. ამერიკული ჩამოწერილი სომალელი ტორპედოს მო-ვედრის შექდე ჩაიძირა. MK 48 MOD 7-ის გამოცდა საერთაშორისო სწავლე-ბა RIMPAC-08-ს ფარგლებში ჩატარდა. სწავლებები იენის-იელისში, პაკაის კუნძულების ახლოს გაიმართა. ტორპედოს ახალი მოდიფიკაციის მოთავარი თავისებულება სრულყოფილი პიროლოკატორი CBASS (COMMON BROAD- BAND ADVANCED SONAR SYSTEM), რომელიც წყალმარჩხოხასა და აქტი-ური რადიოელექტრონული წინააღმდეგობის პირობებში წყალზედა და წყ-ალქვეშა მიზნების ეფექტიანად განადგურების შესაძლებლობას იძლევა. დამ-მუშავებელთა განცხადების თანახმად, MK 48 MOD 7 დღეისათვის მსოფლი-ოში საუკეთესო ტორპედოდ ითვლება. მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასი-ათებლები გასაიდუმლოებულია. წინამძებელი ვერსია MK-48 ADCAP-ი სიგრძით 5,79 მეტრია და 1662,75 კილოგრამს იწონის. ოფიციალური მონაცემებით, შეუქვლია მიზნის 8 კილომეტრის სიშორეზე განადგურება. ექსპერტთა შეფასებით, ტორპედოს მაქსიმალური სიჩქარე 55 კვანძს (საათში 100 კილომეტრზე მეტს) შეადგენს.



## კორეელები მომავლის შახხანებს არევენ

სამხრეთ კორეის სახმელეთო ვარების შეიარაღებაში მომავალი წლიდან ახალი თაობის ავტომატური შახხანა XK-11 შეეა, რომელიც სპეციალური შახხანდის საბრძოლო მასალებით გამანადგურებელი ზემოქმედების ცეცხლის წარმოების საშუალებას იძლევა. დამუშავებლების შეფასებით, მრავალმიზნობრივი შახხანა XK-11 გაცილებითი ვიზინის არსებულ ანალოგებს. მისი გამოცდა 15 თვეს შემდეგდება და მიმდინარე წლის 15 თებერვალს დასრულდა. შექდევი თაობის შახხანები უკვე აშშ-ში, საფრანგეთსა და ვედელოში მუშავდება, მაგრამ სამხრეთ კორეა პირველი იქნება მსოფლიოში, რომელიც შეიარაღებაში მიიღებს ახალი ტიპის ინდივიდუალურ სასროლ იარაღს. XK-11 6,1კვ-ს იწონის, სიგრძით კი 860მმ-ია. ცეცხლის აწარმოებს 5,56მმ კალიბრის სტანდარტული ვანხებით, ასევე 20მმ კალიბრის ყუმბარებით, რომლებიც გამანადგურებელი ზემოქმედების რადიუსის გასაზრდელად მიზნის თავზე 3-4 მეტრის სიმაღლეზე სელება. შახხანა აღჭურვილია ერთი სასხლეტით. XK-11-ის კომპლექტში შედის ლაზერული მანიღოზში, კომბინირებული დასამიზნებელი სისტემა ოპტიკური და ინფრაწი-ოილი არხებით, ასევე ბალისტიკური გამოძივლელი. დამუშავებლების აზრით, ახალი შახხანა ძალზე ეფექტიანი იქნება ქალაქის პირობებში, რადგან მის საბრძოლო მასალებს შენობის უკლებლის გაზრევა შეუ-ძლია. თითო XK-11-ის დირებულება დაახლოებით 16 ათას დოლარს შეადგენს. ამჟამად სამხრეთ კორეის შეიარაღებაში ადგილობრივი წარმოების შახხანა K-2-ები და ამერიკული M-16-ები.





## რუსები უნიკალურ სუბმარინას „ქირავენ“

პროექტ 661 „ანჩარის“ უნიკალური ატომური წყალქვეშა ნავი K-222 სამრეწველო გაერთიანება „სევმაში“, გემსარემონტო ცენტრ „ზეიოზლიჩკაში“ გადაიყვანეს საუტელიზაციოდ. მსოფლიო გემომშენებლობაში ანალოგიური უკონკრეტო ექსპერიმენტული ზეპქაროსნული წყალქვეშა ნავი ტიტანის კორპუსით სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობიდან 1989 წელს გამოვიდა. ათი წლის შემდეგ კი ის „სევმაში“ გადაიტანეს უტილიზაციისთვის, მაგრამ პროექტის უნიკალურობის გამო წყალქვეშა ნავების დაშლის ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენება არ მოხერხდა. ბოლო დრომდე K-222-ს სიცოცხლისუნარიანობას საწარმოს სამოქალაქო ეკიპაჟი უზარუნებდა, მანვე გადაიყვანა ის გემსარემონტო ცენტრ „ზეიოზლიჩკაში“ ატომური რეაქტორის გადმოსტევირთავად და კორპუსის დასაშლელად. პროექტ 661 „ანჩარის“ წყალქვეშა ნავ K-222-ის (1978 წლამდე K-162) მშენებლობა 1963 წლის 28 დეკემბერს დაიწყო სვეერდლინსკში და ექსპლუატაციაში 1969 წლის 31 დეკემბერს შევიდა. პირველი საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავის აგებით, ფაქტობრივად, მრეწველობის ახალი დარგი შეიქმნა. მაღალი დირეგულებისა და განსაკუთრებული საბრძოლო შესაძლებლობების გამო K-222-ს „ოქროს თევზი“ შეარქვეს. 1971 წელს ნავმა სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რაც 44,7 კვანძს შეადგენდა (საათში 83,6 კმ). ეს რეკორდი დღემდე ვერც ერთმა სუბმარინამ ვერ მოხსნა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ კიდევ 10 სერიული ხომალდი აიგებოდა, მაგრამ მოვლენებით მშენებლობის ხანგრძლივობისა და ტექნოლოგიური სირთულეების გამო გვეგმაზე უარი თქვა. გარდა ამისა, პროექტის სუსტ მხარედ ითვლება მაღალი წყალქვეშა ხმაური და სარაკეტო კომპლექსების არასრულიყოფილება.



## ლაზერული დამიზნების ბომბები გერმანიისთვის

კომპანია BOEING-მა კონტრაქტი გააფორმა გერმანიის ხელისუფლებასთან LJDAM-ის (LASER JOINT DIRECT ATTACK MUNITIONS) კომპლექტების მიწოდებაზე. ეს უკანასკნელი განკუთვნილია 500 გირვანქა (227 კილოგრამი) კალიბრის თავისუფლადვარდნადი ავიამობების მართვადი ლაზერული დამიზნების საბრძოლო მარაგებში მოდერნიზაციისთვის. პირველი საექსპორტო შეკვეთის დირეგულება და რაოდენობა არ სასლდება. კონტრაქტის პირობების შესაბამისად, კომპლექტების მიწოდება 2009 წელს დაიწყება. მოდერნიზებული ავიამობებით გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ TORNADO-ებს შეაარალებენ. ახლო მომავალში BOEING-ს იმედი აქვს, რომ სხვა სახელმწიფოების შეკვეთებსაც მიიღებს. მას უკვე გაფორმებული აქვს 28 მლნ დოლარად დირეგული კონტრაქტი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის LJDAM-ის 600 კომპლექტის მიწოდებაზე. PLGS (PRECISION LASER GUIDANCE SET) დამიზნების ლაზერული სისტემის მქონე LJDAM-ის კომპლექტები უზრუნველყოფს ავიამობების ეფექტიანად გამოყენებას იმ მიწისზედა მიზნების გასანადგურებლად, რომლებიც საათში 110 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობენ. დამიზნება ლაზერული მიზნის მარეგულირებელიდან არეკლილი სიხვიით ხდება, რომელსაც თვითმფრინავის ბორტზე აყენებენ და ის მიზანს ანათებს.



## სტრატეგიულ ბომბდამხანავს იშორებენ?...

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეიარაღებულნი 18 სტრატეგიული ბომბდამხენ B-52H STRATOFORTRESS-ი მოხსნეს. თვითმფრინავები პარკის შესანახი და მისი საბრძოლო მზადყოფნაში მუდმივად ყოფნისათვის ხარჯების შესამცირებლად ჩამოურეს. ამჟამად ავიამაზა ტინკერში, ოკლაჰომაში, მუდმივ სადგომზე გადაყვანილია პირველი ბომბდამხენი საბორტე ნიშნით LA1023. ის შეიარაღებაში 1961 წელს შევიდა და ლუიზიანაში, ავიამაზა პარკსეველში მთავრად ბომბდამხენთა ავიაფრთას მიაწერეს. თუმც სადგომი მოდერნიზების უკმარისობის გამო ჩრდილო დაკოტას შტატში, მანითში გადაიყვანეს. ავიამაზა პარკსეველიდან მანითში მუდმივ სადგომზე ყოველ მორიგ ბომბდამხენს ორ კვირაში ერთხელ გადაიყვანენ. ამჟამად აშშ-ის სტრატეგიული ავიაციის შეიარაღებაში შედის 94 ბომბდამხენი B-52H. პარკის შექცევების შედეგად მწყობრში მხოლოდ 76 თვითმფრინავი დარჩება, მათგან 44 უშუალოდ საბრძოლო ამოცანებს შესრულებს. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გვეგმის მიხედვით, ბომბდამხენ B-52H-ების სრული ჩამოწერა 2035-2040 წლებში დასრულდება.



# საზღვრის იქით რეინეთია...

თუმეთში, თებულოს, იუჭერიგოს, ქერიგოსა და დანოს უღელტეხილებზე ქართველი მესაზღვრეები კონტროლს აძლიერებენ, რათა არ დაუშვან რუსეთიდან ახალი პროვოკაციები

მესაზღვრეთა განწესი მთაში მაღლა სწრაფი ნაბიჯით მიიწევს. ეტეობა, შტეკეული არიან, მათთვის ფეხის აბა მიჭირს. მთაში სიარულს მიჩვევა და ვარჯიში უნდა, სამაგიეროდ, როგორც ჟურნალისტი ვრწმუნდები, რომ ქართველი მესაზღვრეები მთაში ყოველდღიურ რთულ საბრძოლო დავალებას ასრულებენ...

სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტმა ჟურნალისტთა ჯგუფი თუმეთში, გირევის სასაზღვრო სექტორზე წაიყვანა და მესაზღვრეთა განრიგებთან ერთად საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გასაკონტროლებლად გაუშვა.

სასაზღვრო პოლიციის მე-5 ლაგოდების სამმართველოს მე-8 გირევის სექტორზე ოთხი უღელტეხილია, რომლებშიცაც გასულ წლებში ხშირად სარგებლობდნენ ჩეჩნეთიდან წამოსული შეიარაღებული პირები. ეს უღელტეხილებია: თებულო (ზღვის დონიდან 3342მ-ის სიმაღლეზე), იუჭერიგო (3023მ), ქერიგო (3111მ) და დანო (4076 მ).

დღესაც, რომ არ განმეორდეს 7-8 წლის წინანდელი მოვლენები, საქართველოს საზღვრის დაცვის პოლიციამ გაძლიერე-



ბულ რეჟიმში დაიწყო საქართველო-რუსეთის საზღვრის გაკონტროლება როგორც გირევის, ისე სხვა სექტორებში.

ქართველი მესაზღვრეები (რომელთა ჩაცმულობა და აღჭურვილობა ბევრად უკეთესია, ვიდრე წინა წლებში) დღე დაღამ მორიგეობენ ზემოხსენებული უღელტეხილების მისაღვამებთან და აკონტროლებენ საცაღვეხო ბილიკებს, რადგან საზღვრის უკანონო დამრღვევი მთავეერდს ვერ აუვლის. როდესაც ასე დაძაბული ურთიერთობა მოსაზღვრე რუსეთთან, ყოველთვის არის საფრთხე, რომ რუსეთის საცესამსახურებმა ჩეჩნეთიდან შეიარაღებული პირები შემოგზავნონ საქართველოში, რომ მერე დღიამავე ატეხონ, საქართველოში ჩეჩენი მებრძოლები ემზადებიან...



# ომის დაწყების ზღვარზე...

ცხინვლიდან მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია იმაზე მიანიშნებს, რომ სეპარატისტები ომის დასაწყებად ემზადებიან



აგვისტოს დასაწყისში ცხინვლის მსაფრთხიდან, და მილიანად კონფლიქტის ზონაში, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. წინასწარი მონაცემებით, ორმხრივი ინტენსიური სროლის შედეგად ოსური მხრიდან დაიღუპა და დაიჭრა 15 კაცი, ქართულ სოფლებში კი 9 მოსახლე დაიჭრა ოსების ნასროლი ნადებისა და ჭურვების ნამსხვერველისგან.

ეს 2004 წლის ზაფხულის საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ყველაზე მწვავე შეიარაღებული დაპირისპირება იყო და არსებობს საშიშროება, რომ ყოველივე ეს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს.

სეპარატისტულმა ცხინვალმა 2,5 ათასზე მეტი მოსახლე ჩრდილოეთ ოსეთში გახიზნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სეპარატისტების შეიარაღებული რაზმები საბრძოლველად ემზადებიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონფლიქტის ზონაში მდგარმა შერეული სამშვიდობო ძალების ჩრდილოოსურმა ბატალიონმა 1-2 აგვისტოს დაშეს სეპარატისტებს დაუჭირა მხარი და ცეცხლი გაუხსნა ქართული სამშვიდობო ბატალიონის პოზიციებს. ვერჯერობით, რუსული სამშვიდობო ბატალიონი ასე ამკარად შეიძლება არ ერევა ბრძოლაში,

მაგრამ თუკი სიტუაცია კიდევ დაიძაბა, ის მხარს დაუჭერს სეპარატისტებს. ამის სავალალო გამოცდილება უკვე არსებობს.

თუკი კონფლიქტის ზონაში დაპირისპირებულმა მხარეებმა დაიწყეს მძიმე საბრძოლო ტექნიკის, განსაკუთრებით კი მსხვილკალიბრის არტილერიის თავმოყრა, მაშინ ეს ომის დაწყების მაუწყებელი იქნება.

თბილისმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცხინვლიდან ორმხრივი ინტენსიური სროლის დაწყების პარალელურად გახშირდება აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებული პროვოკაციები კოდორის ხეობის ზემო ზონასთან, ასევე გალის რაიონში.

შეიარაღებული პროვოკაციების მიზანი ქართული მხარის ძალების გახლეჩა, მათი ორ ფრონტზე ბრძოლაში ჩაბმა იქნება.

პარალელურად, როკის გვირაბის გაყვლით ოსი სეპარატისტები მიიღებენ დამატებით ძალებს რუსეთიდან როგორც მებრძოლების, ისე სამხედრო ტექნიკისა და ტეცია-წყალის სახით. ამიტომაც საბრძოლო მოქმედებების გაკვიანურების შემთხვევაში, თუკი არ ჩაიკეტა როკის გვირაბი, ქართულ მხარეს ძალიან გაუჭირდება.

ვარზე ყველა გამოსასვლელს აკონტროლებენ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ბრძალის წასაყენებელი საბაბი არავის მიეცეს.

**ირაკლი ალადაშვილი**  
 თბილისი-შირევი-  
 მოხალ-თბილისი





ბა Immediate Response 2008 დასაწყის სპეციალურად ამ სწავლებისთვის ამერიკის შეერთებული შტატების 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა. ამერიკელებმა 80 ერთეულამდე ტექნიკა და მათ შორის ჰაბერის ტიპის საბრძოლო მანქანები და შეეუბნურებაც ჩამოიყვანეს. ამერიკელებმა სწავლების სამართავი ცენტრი ვაზიანში მხოვე ქვეით ბრიგადის ბაზის ტერიტორიაზე მოაწყვეს. მართვის ცენტრში დაიგეგმა სწავლების კონკრეტული დეტალები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ სწავლებაში სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი სამხედროებიც მონაწილეობდნენ. წვრთნების პირველი ეტაპი საშტა-

# IMMEDIATE RESPONSE

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე სამი კვირის განმავლობაში ქართველი ჯარისკაცები განსხვავებულ გარემოში მოხდენენ.

შეიარაღებული ძალების მეთითე ქვეითი ბრიგადის ექვსასმა სამხედრო მოსამსახურე ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად აქტიური მონაზადება გაიარა. ყველაფერი კი 15 ივლისს დაიწყო. საზოგადოებამ სწორედ ამ დღეს გაიგო, რომ საქართველოში საერთაშორისო სწავლე-



ბო-სამეთაურო სწავლებებს დაეთმო. სამხედროებს პრობოითად ერაყში საერთაშორისო სამშეილობო ოპერაციის პირობებში უნდა ემოქმედათ და საშტაბო სამუშაოები განეზორციელებინათ. ასეთი სწავლება საქართველოში პირველად ჩატარდა და ამ ფაქტის გამო ვაზიანის სამხედრო ბაზას საქართველოს პრეზიდენტოც ეწევა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ვეროპის ძალების მეთაურმა ბრიგადის გენერალმა უილიამ გარეტმა უმანსპინძლა. გენერალი გარეტი სწავლებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე კარგად ორგანიზებული სიმულაციური სწავლებები, მხოლოდ საშტაბო წვრთნების დასრულების შემდეგ გაიმართა. თუ სამე-





ისტი უნდა აეცხანათ. ამის შესასრულებლად სამხედროებმა რეგლობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციაში პირობითად ერთ-ერთში დასახლებულ პუნქტში შეესვლა დაიწყეს. ამ დროს ტერორისტებმა (ტერორისტები სამხედროთა მეორე ჯგუფი იყო, მათ სპეციალურად აღმოსავლური ტანსაცმელი ეცვათ) ცეცხლი გახსნეს. ჯარისკაცებმა შეტევის მოგერიება მოახერხეს და დაელოდნენ ტერორისტის დაკავებით დაითარდა. აღსანიშნავია, რომ ვითარება მაქსიმალურად იყო მიახლოებული საბრძოლო პირობებთან. დაშვებულების ევაკუაციისათვის გაზიანის პოლიგონზე ამერიკული „შავი ქორიცი“ გამოიწვია.

თაურო სამტაბო სწავლებებში უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სომეხი სამხედროებიც მონაწილეობდნენ, საველე წერტილებში მხოლოდ ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცები ჩაერთვნენ. თითოეული სწავლება კონკრეტულ მოცულობის გულისხმობდა და ერთ-ერთი ამერიკელი სამხედრო ოპერაციის იმიტაციას წარმოადგენდა. კონვირება, ბატონი, ტერორისტის დაკავება ეს მცირე ჩამონათვალია იმ ამოცანებისა, რაც ქართველებმა და ამერიკელებმა გაზიანის სამხედრო პოლიგონზე შესასრულეს. ერთ-ერთ დღეს ასეთი სიტუაცია გათამაშდა. ქართველ და ამერიკელ სამხედროებს, სცენარის მიხედვით, პირობითად, ტერორ-



აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა სამხედროებმა ამერიკის შეერთებული შტატები კოალიციაში მყოფ თითოეულ ქვეყანასთან ერთად გვემაცეს და ახორციელებს. ასეთი სწავლების მიზანია სწორედ ერთობლივი მოქმედების პრინციპების დახვეწა. გარდა ამისა, რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით ქართველი, სომეხი, უკრაინელი და აზერბაიჯანელი სამხედროების ერთობლივი მოქმედება უმნიშვნელოვანესია. სწავლების ბიუჯეტი 8 მილიონ დოლარი იყო. საერთაშორისო სწავლება 31 ივლისს დასრულდა.

**გიორგი თუხარაძე**  
**ტელეკომუნიკაციების**  
**„საქართველო“**

# საოქალაქო კონტროლი გაკლიერება პოლიციაში

## — ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების სზაგილურობის გაკანონი

ახალგაზრდა ქართული არმიის ცვლადზე დღეიწ პოლიცია კადრების გადინება შეიარაღებული ძალების რიგებშია. ქვეყანაში პოლიტიკურ ან სამთავრობო ცვლილებებს, როგორც წესი, არმიის ხელმძღვანელი პირების შეცვლა მოჰყვება, ეს კი აწვევს ცვლილებებს ქვედა რიგებში. შეიარაღებული ძალებისთვის ეს პროცესი ძალზე მტკიცენივლია.

მიზეზი გასაგება: არმიის სტაბილურობასა და შეიარაღებულ ძალებზე ახალი პოლიტიკური გუნდისგან სამოქალაქო კონტროლის უზრუნველყოფა. მიზანი კარგია, მაგრამ საკანონმდებლო ბაზა და სტრუქტურა, რომელიც რეგულირებს პროცესშია, დასვენების საჭიროებს. 2004 წელს შეიარაღებული ძალები ძალზე დაზარადა ასობით ოფიცრის არმიად დათხოვნით. მომავალმა ნაილად დღევანდელი, თუ ვის რ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა და რამდენი უდანამულო, სამშობლოს ერთგული ოფიცრის კარიერას და ოქციების ხარვეზი მოჰყვა ამას.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ოფიცრთა კორპუსში ამ მხრე სტაბილური მდგომარეობა, მაგრამ ამ პროცესს კიდევ უფრო განმტკიცება ესპორიება.

უნდა მომზადდეს საკანონმდებლო პაკეტი და მოხდეს ისეთი სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც:

- აღციქვის გაუმართლებელ საკადრო წინადადება;
- უზრუნველყოფს შეიარაღებულ ძალებში სამოქალაქო კონტროლს.
- საკანონმდებლო ცვლილებების მოყარი მიმართულებები უნდა იყოს:
  - ფრქვევების გამძვინვარება;
  - ოფიცრების მორე სამხედრო სამსახურისა და საკარიერო საფეხურების გაცლის წესების დადგენა;
  - თანამდებობებზე დანიშნვისა და გათავისუფლების წესების დამუშავება მისი შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით;
  - დონეების მიხედვით ხელმძღვანელი პირების ერთობლივად გათავისუფლების (გადაადგილების) პროცენტის დადგენა და სხვ.

რაც შეეხება სტრუქტურულ ცვლილებებს. ბევრი შეოცვალა და გაკეთდა თავდაცვის სამინისტროს აპარატში. საჭიროა ეს პროცესი გაგრძელდეს სახელმძღვანელო პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ სარდლებისთვის ხელმძღვანელი პირები უმეტესად დატვირთული არიან ადმინისტრაციული ფუნქციებით, მდგომარეობით ამ დღევანდებთან მუშაობით, რაც არ შეიძლება უზრუნველყოფილად არ მოქმედებდეს მათი უშუალო

მოვალეობების შესრულებაზე. და ცვლადზე მოყარი: საჭიროა სამოქალაქო კონტროლის დაწესება არ მხოლოდ სტაბილურობისა და დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად, არამედ ისეთი საკითხებზეც, როგორცაა საბრძოლო მომზადების მსვლელობა, საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა და სხვა. სამხედროების ყოველთვის ჰგონიათ, რომ ეს მხოლოდ მათი საქმეა და აწვიწყებთ, რომ არნაა გადაწყველების, ე.ი. სამოქალაქო საზოგადოების სასსრებით იქნება და ფრქვევით იქნება, არნა შეასრულოს მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება — დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.

ცივლადი კარგი მაგალითია აშშ-ის თავდაცვის უწყების სტრუქტურა. იქ როგორც სამინისტროს, ასევე ვარების სახეობებზე სათავეში უფრო სამოქალაქო პირები, რომლებიც რანგით სამინისტროებს უტოლდებიან. ეს განპირობებულია აშშ-ის არმიის მასშტაბებისგან გამომდინარე. მხოლოდ საპიკრო ძალების ბიუჯეტი შეადგენს 90 მლრდ დოლარს მტკს.

ჩვენს შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სამოქალაქო დეპარტამენტები სახეობების მიხედვით. მაგალითად საპიკრო ძალების დეპარტამენტი სამოქალაქო პირთა სათავეში. დეპარტამენტის ხელმძღვანელი უშუალოდ უნდა დაქვემდებარდეს თავდაცვის მინისტრს (მხოლოდ თავდაცვის მინისტრის) სახეობების შტაბები (სარდლობები უნდა გაუქმდეს) რჩება გაერთიანებული შტაბის უფროსის დაქვემდებარებაში.

განებისლილი საპიკრო ძალების მაგალითი.

- ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას ორი სტრუქტურული დეპარტამენტი:
  - საპიკრო ძალების დეპარტამენტი — სამოქალაქო, სათავეში დეპარტამენტის უფროსი, დირექტორი ან თავმჯდომარე;
  - საპიკრო ძალების შტაბი — სამხედრო, სათავეში შტაბის უფროსი.
- ამ ორი სტრუქტურის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსი და შტაბის უფროსი, ერთდროულად უნდა იყვნენ დამოკიდებულებაში, როგორც თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი არიან.
- საპიკრო ძალების დეპარტამენტს უნდა დაეკისროს შემდეგი მათორიტარული და ადმინისტრაციული ფუნქციები:
  - დემოკრატიული ფასეულობების უზრუნველყოფა: სამართლიანობა, კანონის თანასწორობა და უზენაესობა, ადამიანური

დონების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, კანონიზრება;

- მათთვის დემოკრატიული სტილი დაწერვა: პირადი შეზღუდვების დაფარება, დაჯილდოება, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება, პირადი მაგალითი, დემოკრატიული და ტოლერანტული ვითარების შექმნა გადაწყვეტილების მიღებაში;
  - სახელმწიფო იდეოლოგიის გატარება და პოლიტიკური გუნდის საარჩევნო პასუხისმგებლობის შესრულების უზრუნველყოფა;
  - საბრძოლო მომზადების მიმდინარეობის ხარისხზე კონტროლის დაწესება;
  - თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურებიდან ურთიერთობების კოორდინაცია;
  - საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობაზე კონტროლის დაწესება;
  - სამოქალაქო ავიაციის სტრუქტურებიდან თანამშრომლობა;
  - NATO-ს სტანდარტების დანერგვაზე კონტროლის დაწესება, პარტიკული ქვეყნის თანამშრომლობა;
  - ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური და კანონიერი ხარვეზი;
  - საპიკრო ძალების აღჭურვილობა ყოველმხრე უზრუნველყოფაზე ზრუნვა.
- დეპარტამენტის დირექტორი მოქმედებს თავდაცვის მინისტრის დაფარებისა და მითითების შესაბამისად და ანგარიშგაღებულია მხოლოდ მის წინაშე.
- საპიკრო ძალების შტაბის ფრქვევებში რჩება წინადა სამხედრო საკითხები:
- ვარების ყოველდღიური მართვა;
  - საბრძოლო მომზადების წარმოება;
  - საბრძოლო მომზადება;
  - ოპერაციების დაგეგმვა და წარმოება;
  - შეიარაღებისა და ტექნიკის სწორი ექსპლუატაცია და სხვ.
- იგივე უნდა მოხდეს სამხედრო ვარების და ფლოტში.
- ეს ცვლილებები არ გამოიწვევს დღევანდელი დაბნული ვითარების პირობებში შეფერხების ვარების მართვას, არ იქნება დაჯილდოებული რიცხობრიობისა და ხარვეზის დღეზრდასთან.
- მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს სამხედრო პირების მდგომარეობის გატარება სამხედრო წინაშეობისა და NATO-ს ეკვიდით დაჯილდოება მნიშვნელოვანი სამხედრო ღირსებებისა.
- სამოქალაქო ხელისუფლებისა და თავდაცვის მინისტრის ცვლილებები არ უნდა აისახოს შეიარაღებულ ძალებზე და არ უნდა



მოკვცის მისი ხელმძღვანელი პირების შეყვ... ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ნაფლებს... პარტამენტების სამოქალაქო პირების შეყვ... (თუ ამას ახალი მინისტრი ჩათვლის საწორად), ვიდრე გაერთიანებული შტაბის უფროსისა და ვარების საწვრთხის შტაბის უფროსის.

გაერთიანებული შტაბისა და ვარების საწვრთხის შტაბის უფროსები უნდა ინიშნებოდნენ ფიქსირებული ვადით - 3-4 წლით. უნდა დაყარდეს ამ თანამდებობებზე მათი მასშტაბის ვადის გაგრძელების ამ ვადაზე

ადრე გადაადგილების პირობები. მათ სამსახურებზე კარიერას არ უნდა ეხებოდეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები.

საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს მტკიცება და მასობრივ გამოხატვებზე პოლიტიკური მოწოდებები არმიის მიმართ. უნდა აიკრძალოს არმიის პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევების მტკიცება.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურებში თანდაზივის ოფიცრების გამოცემა

ბა საქმისთვის უზრუნველყოფის შესაძლებლობა პროცესული რაოდენობის დაზუსტებით, რათა არ მივიღოს მასობრივი სახაითა და განპირობებული იყოს მხოლოდ პროფესიონალიზმი თვისებებიდან გამომდინარე. ვიჭირობ ასეთი ცვლილებები გააუმჯობესებს ვარების მართვას, ამაღლებს მის საბრძოლო მზადყოფნის დონეს და გააუმჯობესებს სამოქალაქო კონტროლს შეარავილებო ძალებში.

ამირან სულაშვილი  
საპარლამენტო  
სადრეალი 2003-2005 წ.წ.

გაზრდილია

# როგორ იწყებოდა ყარაბაღის ომი

## ორმხრივი სროლის პროვოცირება რუსულმა სადივერსიო ჯგუფებმა, შესაძლოა, ცხინვალსა და აფხაზეთშიც გამოიყენონ

1988 წლის შორე წლებში ძალზე გაშვავდა აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირება ყარაბაღის გამო. დაიწყო როგორც პოლიტიკური, ასევე შეარავილებული დაპირისპირებები პატარა-პატარა შეარავილებულ ჯგუფებს შორის. ფაქტობრივად, ყველა მათგანი უკანონო შეარავილებული ფორმირება იყო, მაგრამ მათთვის ხელის შეშლა არავის უფიქრია.

კონფლიქტი ერთხანს სროლას და მოქალაქეების დაჭრისთვის იქნა არ წასულა, რადგან მხარეებს არც საჭირო შეარავილება და არც მოტივაცია ჰქონდათ მასშტაბური შეარავილებული დაპირისპირების დასაწყებად.

ამ „პრობლემების გადაჭრა“ თავის თავზე აიღო ქვეყნის მამნიღღმს ხელისუფლებამ და 1988 წლის სექტემბრიდან დაიწყო სტანააკრებში დისლოცირებული მოტივირებული პოლიციის, შექმნილი კი კოორდინირებული დივიზიის საბრძოლო შტაბებში დაკომანდოვებულ და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ადმინისტრაციულ საზღვართან (აზერბაიჯანის მხრიდან) საკომუნიკაციოს განლაგება. ამ სახელო ქვეყანაში ოფისის ფორმალური ამოცანას წარმოადგენდა აზერბაიჯანული სოფლების მოსახლეობის დაცვა, ფაქტობრივად კი კი ყველაფერი კეთდებოდა კონფლიქტის გასაფიქრებლად.

ძალე სომხეთშიც განლაგდა ერევანში დისლოცირებული მოტივირებული დივიზიის პირადი შემადგენლობა. ფაქტობრივად, საბჭოთა არმიის ორი შეარავილი ამოხრდა პირისპირ დაპირისპირებული მხარეების ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე ამ დროს მოტივირებული ქვეყანაოფიების საკომუნიკაციოს შუა დატოვებული

ადგილებიდან დროდადრო იცხრილებოდა როგორც სომხური, ასევე აზერბაიჯანული სოფლები. თავისთავად ცხადა, ორივე მხარის მოსახლეობა ერთმანეთს აბრალვდა ამას და შეარავილებული კონფლიქტის დაწყების „მოტივაციაც“ იქნებოდა. სოფლებს დამაბოძებით უსწინდნენ ციციუს საბჭოთა არმიის ლავოდეხში განლაგებული სპეცდანიშნულების ბრიგადიდან გამოყოფილი ჯგუფები. ეს არ იცოდნენ ორივე მხარეს განლაგებული მოტივირებული ნაწილების ხელმძღვანელებმა. ერთ-ერთი პოლიკის მეთაურის გადაწყვეტილებით ჩატარდა ოპერაცია სოფლების დამცხრილავი შეარავილებული ჯგუფის დასაკავებლად და მათ საბჭოთა არმიის სპეცდანიშნულების ჯგუფი შერჩათ ხელთ. თავისთავად ცხადა, პოლიკის მეთაურის ინიციატივა ზემდომებს არ ესაბამებოდა და ეს ფაქტი სასწრაფოდ მიქმალეს.

პარალელურად დაიქმნებოდა ტემპით მიმდინარეობდა ორივე მხარისათვის ძარავისა და საბრძოლო მასალების მოწოდება. ეს პროცესი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განლაგებული სახელო შეარავილების ადგილობრივებისათვის გადაცემი დასრულდა.

ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების კვირის პრეზენტების მომარავებაში ზემდომებოთა დავალებით ეხმარებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სახელო მოსამსხრევრების დიდი ნაწილი სოფლებში იყო განლაგებული. შედეგად, სომხურ დასახლებულ პუნქტებში მყოფი სახელოები ნელ-ნელა კონკრეტული განწყობილებისა ხდებოდნენ, აზერბაიჯანულში კი - პროაზერბაიჯანული. ზემდომებოთა ორივე მხარე საბჭოთა არმიის

სამხელო მოსამსხრევრებს ჭირავდა საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის მოსალებად.

მიზნის მიღწევის შემდეგ ორივე მხარეს მიხსნეს საბჭოთა არმიის ქვეყანაოფიების საკომუნიკაციო და კონფლიქტის ორივე მხარე ერთმანეთს პირისპირ დატოვებს.

ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ერთმანეთს ღვაპირისპირდა ორი სატანკო ქვედანაყოფი. ბრძოლის დაწყების წინ ტანკების რაიოლადავრები ერთ სიხშირეზე ამოხრდნენ და ეკიპაჟებმა საძისხილები მიზნელო ერთმანეთი იცნეს. მათ მამადე საბჭოთა არმიის ერთ ქვედანაყოფში ეწასხურია. შედეგად, საბრძოლო ამოცანის შესრულებას ჩავაგდა - ყოფილმა თანამოსამსხრევრებმა ერთმანეთი სასიცილოდ ვერ გაიქტეს, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევა იყო.

არტყლიერისტების უმეტესობაც საბრძოლო მოქმედებების საწყის ეტაპზე საბჭოთა არმიის ოციერები (ზოგი ყოფილი) იცნენ. ერთი არმიის სახელო მოსამსხრევრები რუსეთის იმპეროლი ამოციების დაკავყოფილების მიზნით ერთმანეთს ღვაპირისპირდნენ (რომ ადავრები ვიქტია სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირებაზე). სომხეთის მოავრბო რუსეთთან უფრო „შეხმარებულული“ იყო და ომც შესაბამისი შედეგით დასრულდა. არ არის როული, პარალელუ ვაკავლით ხელოდნიშნულად და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს შორის.

მიიტი იუპურიძე  
მეხელო-პარიერი, 2004  
წელს საპაროპოლონ  
მიიარაღებულში ძალეობის  
მეხმარების უფრონი

# ისრაელმა რაკეტისა და სარაკეტო დაცვის თავდაცვის ახალი სისტემა ნარკობებით გამოცდა

RAFA-ს  
სისტემის



ისრაელში წარმატებით გამოცდა რაკეტისა და სარაკეტო დაცვის ახალი სისტემა Iron Dome („რკინის გუმბათი“). სისტემის განკუთვნილია „ასამის“ ტიპის რაკეტების ჩამოჭრებად, რომელსაც პალესტინელი ბრძოლები დაზის სექტორის მოსახლეობა ებრძვის დასახლებებს დროდადრო ესტრან.

ისრაელელ სამხედროთა აზრით, ახალი სისტემა ნაღმსატყორცების გასროლების ნეიტრალიზებასაც შეძლებს.

„რკინის გუმბათი“ შედის რაკეტისა და სარაკეტო დაცვის ერთიანი სისტემაში, რომელსაც ისრაელი როგორც მცირე რადიუსის მქონე რაკეტების, ასევე ირანიდან და სირიიდან გაშვებული რაკეტებისაგანაც უნდა დაიცვას.

სისტემის შემადგენლობაში შედის: რადიოლოკაციური სადგური, მართვის ცენტრი და სამი გამშვები დანადგარი 20 „ტამირის“ ტიპის საზღვრული რაკეტით. რაკეტის სიგრძე 3 მეტრი და წონა 90 კილოგრამია. საბრძოლო ნაწილის მასასა და სიღრმეები გასაიდუმლოებულია.

„ტამირის“ ღირებულება 30-დან 45 ათასამდე დოლარია და გადაჭრული მიზლისაგან დაშვებულ 200-დოლარიან „ასამის“ შედარებით შიშველია.

მოედლირებამ აჩვენა, რომ Iron Dome-ს ნებისმიერ მტერიპრობებში ერთეულ ან ჯგუფურ სამიზნეთა 90%-ის განადგურება შეუძლია.

სისტემის ისრაელის ფორსს RAFA-EL-მა შექმნა და მისი პროექტირება 200 მლნ დოლარი დაეკადა.





# Boeing-მა პიპერბერიით რაკეტის პროექტი დაამუშავა

საქართველო  
პროექტების

კომპანია Boeing-მა პიპერბერი-ით რაკეტა HyFly-ს სადემონსტრაციო მოდელი დაამუშავა და ახლა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიულ სამეცნიერო-საკვლევ საშუალების დაგეგმვის სამმართველოსთან მორიგი გამოცდის თაობაზე მულაპარაკეტებს აწარმოებს.

წინა ორ გამოცდაზე რაკეტებმა საპროექტო სიჩქარის 6 M-ის ჩვენება ვერ შეძლეს. პირველ გამოცდაზე 2007 წლის სექტემბერში რაკეტის აქსერა-ცია 3,5 M-ზე პროგრამულ უზრუნველყოფაში წარმოქმნილი შეცდომის გამო დაიბლოკა.

მომდევნო გამოცდა 2008 წლის 16 იანვარს სადემონსტრაციო მოდელის წყნარ ოკეანეში ჩავარდნით დასრულდა მას შემდეგ, რაც საწვავის ტუმბოს მუშაობაში ზარეზები გაჩნდა. ორივე შემთხვევაში რაკეტების გაშვებისათვის აუთოგამანადგურებელი F-15 იქნა გამოყენებული.

Boeing-ის წარმომადგენელი განცხადებით, რაკეტის სადემონსტრაციო მოდელის მართვის, სანაევაციო და დამინების სისტემები საპროექტო პარამეტრებს შეესაბამება.

პროგრამის მიზანია შეიქმნას რაკეტის საცდელი ნიმუში სახმელეთო სტარტით, რომელიც 6 M სიჩქარის ჩვენებასა და სამიწეზე 1120 კილომეტრის სიშორეზე გასვლას შეძლებს.



პროექტული კვლევის ცენტრი 2011 წლის 13

საინჟინერო სამსახური



# რუსეთს შავ ზღვაში თავისი პოლიციის გაღმავლება უნდა

**რამდენიმე დღის წინ რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხით ნაჩვენები იქნა საზღვაო სწავლების კადრები, რომელმაც შორეული არსულის ერთ შემთხვევას აქლიან ვაპადა.**



პირველი მსოფლიო ომი მიუღი ძალით მძინვარებდა, როცა 1916 წლის 21 ივნისს, სოჭთან, მოულოდნელად ოთხ-საკამლეზილიანი კრეისერი გამოჩნდა. ხომალდი სოჭის შუქურას გაუსწორდა და შემდეგ ცურვა ქალაქისკენ გააგრძელა. სანაპიროზე შეკრებილი დამცველები და გამყვლები იშვიათი მოვლენის მოწმენი გახდნენ.

იმ დროს სანაპიროსთან მშენებარე რკინიგზის მომსახურე სატვირთო გემი და იალქნიანი პატარა ხომალდი იდგა. კრეისერის შემწვევისთანავე სატვირთო გემმა სასწრაფოდ უკან ხელთ ნაბირ-

ისკენ რაც შეიძლება ახლოს გამოცურა და ეკიპაჟმა თავს ნაპირზე გადმოხტო-მით უშველა.

აურზაურისა და რუსი მეზღვაურების შემინების მიზეზი გერმანული მსუბუქი კრეისერი „ბრესლაუ“ იყო. სატვირთო გემს გერმანული ტორპედო კორპუსში მოხვდა და აფეთქების ადგილზე წყლისა და კვამლის უზარმაზარი სვეტი ჰაერში ავიდა. იალქნიანი ხომალდი ეკიპაჟს წინასწარ დატოვებული ჰქონდა და მისი განადგურებისათვის რამდენიმე ჭურვი საკმარისი აღმოჩნდა. კრეისერი სოჭს იმე გაეცალა, რომ ქალაქისა და „კავკასიის

რვიერას“ მიმართულებით არც ერთხელ არ გაუსვრია.

ამ მოვლენიდან 92 წლის და ერთი თვის შემდეგ სოჭის მახლობლად, თვისთან, შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა 22-24 ივლისს სწავლებები ჩატარეს. დიდი სადესანტო ხომალდებთან თვისმავალი საარტილერიო დანადგარების თანხლებით ნაპირზე საზღვაო ქვეითთა გაძლიერებული ტაქტიკური ჯგუფი გადმოვიდა. დესანტის საცეცხლე მხარდაჭერას საზღვაო არტილერია და მოიერიშე ავიაცია უკეთებდნენ.

ნაპირზე თავმოყრილი დამცველებმა საზღვაო ქვეითთა მოქმედებისა და საბრძოლო ტექნიკის შესადგელობათა დესანტიერების უშუალო თანამონაწილენი აღმოჩნდნენ. მედესანტებმა პლაჟის მახლობლად პირობითი მტერი – ტერორისტთა რაზმი გაანადგურეს და დავალების შესრულების შემდეგ თავიანთი სადესანტო ხომალდს დაუბრუნდნენ.

შავი ზღვის ფლოტმა ეს ამოცანა მასშტაბური სწავლება „კავკაზ-2008“-ის მოთხონათა შესაბამისად შესრულა. კარგია, როცა რუსი სამხედროები საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად ასე შემართებით ემზადებიან, მაგრამ დამაფიქრებელია სწავლების ჩატარების დრო და ადგილი.

სწავლების დაწყებამდე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში შექმნილი მდგომარეობა შევავედ შეფასდა. ამის გამო სწავლება „კავკაზ-2008“-ზე აქცენტი შეიარაღებულ კონ-

**საზღვაო ქვეითთა  
ჯავანატრანსპორტიორი БТР-80**







ფლიქტებში სპეციალური ოპერაციებით მხარეთა მშვიდობისათვის იძულებაზე გაკეთდა, რაც კონფლიქტებში ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების უშუალო ჩარევას ნიშნავს.

საქართველოს ორივე კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობის ბოლოდროინდელ გამწვავებას რუსეთი სისტემატურად ოფიციალურ თიბილისს აბრავლებს. ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რას ემსახურება სწავლება „კავკას-2008“ და მასში შავი ზღვის ფლოტის ზომადღების მონაწილეობა.

რუსული და აფხაზური მედიასაშუალებები რეკლამარულად ავრცელებენ აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეჭრის გეგმებს, სადაც ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად სანაპირო ზოლი განიხილება.

საქართველო-რუსეთის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში რუსეთის საზღვაო ძლიერების დემონსტრირების მიზანია კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო მოქმედებებში ჩარევა.

კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის შენარჩუნების მომიზეზებით მოიერიშე ავიაციის, საელსანტო ხომალდების, საჰაერო თუ საზღვაო მედსანტების შემოყვანა პირველ რიგში რუსული სამხედრო ყოფნის გაძლიერება-გაანერგოვებას ემსახურება.

2017 წლის 28 მაისს რუსეთის შავი ზღვის ფლოტს ყირიმში ყოფნის ვადა ეწყურება და უკრაინის NATO-სკენ სწრაფვის პირობებში რუსეთს ხომალდების ბაზირებისათვის ახალი ბაზების ძებნა უხდება.



შავი ზღვის ფლოტის დიდი საადესანტო ხომალდი

რამდენიმე წელია ნოვოროსისკში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ მიზეზთა გამო სეკსტაპოლის სრულფასოვანი შეცვლელი მაინც არ იქნება. განიხილება ხმელთაშუა ზღვაში სირიის პორტ ტარტუსის გამოყენების საკითხი, რომელიც „ცივი ომის“ დროს საპოთა ხმელთაშუა ზღვის ესკადრის ხომალდებს ემსახურებოდა.

ერთხანს ბაზირების ერთ-ერთ პუნქტად აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმიც განიხილებოდა, თუმცა აფხაზური პორტების შესაბამის მდგომარეობაზე მიყვანა და აღჭურვა, დიდ თანხებსა და დროს მოითხოვს. ამასთან, გართულებული ქართულ-რუსული ურთიერთობები ამ საკითხზე შეთანხმებას გამორიცხავს.

მხედველობაშია მისაღები, რომ ყირიმ-

იდან წამოსვლასთან ერთად შავი ზღვის ფლოტს წლიდან წლამდე საზომადლო შემადგენლობის მუდმივი შემცირებაც აშფოთებს. ამის გამო რუსეთი შავი ზღვის ქვეყნებს შორის წამყვანი საზღვაო ქვეყანის პოზიციას ნელ-ნელა ითმობს.

ბოლო წლებში ფლოტს გამოაკლდა ერთი პატარა სარაკეტო ხომალდი, საზღვაო მტრალაევი და კორვეტი. სანაცვლოდ მიღებულია 100 ტონა წყალწყვის პატარა სადესანტო კატარა MDK-144, ამ დღეებში ფლოტის შემადგენლობას სახელმწიფო გამოცდების შემდეგ საზღვაო მტრალაევი „ვიცე-ადმირალი ზახარინი“ დაემატება.

ის დრო, როცა შავ ზღვაში მოსკოვის დაუკითხავად თევზიც კი ვერ შემოტყურდებოდა, წარსულს ჩაბრუნა, მაგრამ რუსეთის უძაღვლეს პოლიტიკურ თუ სამხედრო წრეებს ამ აზრთან შეგუება არ ხერო.

მოსკოვის წაქეზებით ყირიმის მცხოვრებთა ერთი ნაწილი უკრაინა-აქერიკის ერთობლივი სწავლება „სი ბრიზ-2008“-ის წინააღმდეგ გამოვიდა და პროტესტის სხვადასხვაგვარ ფორმას მიმართა.

მოუხედავად ამისა, შავი ზღვის ფლოტის ხომალდები რეკლამარულად მონაწილეობენ დასავლეთის ქვეყნების ხომალდებთან ერთობლივ სწავლებებში „შავი ზღვის ჰარმონია“, „შავი ზღვის პარტნიორობა“, „ბლექსიფორი“, „აქტიური ძალისხმევა“ და აშ. დაცურავენ და შედიან NATO-ს წევრი ქვეყნების პორტებში და იქაური მოსახლეობისთვის ეს ყველაფერი ნორმალურ მოვლენად ითვლება.

საზღვაო ქვეითთა თვითმავალი საარტილერიო პაუზიცა „აგვაზდია“

2017



ბრიტანულ ავიასალონზე დიდი ყურადღება მიექცა ორი საავიაციო გიგანტის AIRBUS-ისა და BOEING-ის პაექრობას და საწვავის ფასების ზრდას. მიუხედავად, გამოფენის გამორჩეულად სამოქალაქო მიმართულებისა, მასზე წარმოდგენილი იყო ასევე სამხედრო ტექნიკის ძალზე საინტერესო ნიმუშები.



# FARNBOROUGH AIRSHOW-2008

ამ გამოფენაზე შეგვა აშშ-ის სამხედრო-საკურო ძალების ახალი თაობის გამანადგურებელი F-22 RAPTOR-ის დებუტე სახელის გამო გამანადგურებელი ლამის გასადუმლოებული იყო, რაც არაერთხელ ვნაცხადებს სალონის დაწყებამდე ამერიკელმა სპეციალისტებმა. ამის გამო მისი განთავსება სალონის პეილიონში შეუძლებელი იყო. მხოლოდ ერთი ვაგონმა შეასრულა საავიაციო ექსპორტისათვის. F-22 სურენი მას-სათივლებლით ვაცილებით აღემატება რუსულ სუპერმანერულ Cy-30MK-ებს.

მოუხედავად ამისა, სწავნილი ფრენისას „თავი შერტყენისა“, – F-22-მა ვერ შეასრულა ფიგურა, რომლის დემონსტრირება შეუძლია არა მარტო Cy-30MK-ს, არამედ ითიქის მიბეჭებულ Cy-27-საც. ფიგურა „კობის“ შესრულებისას კი F-22 ღამის ჩაგდა და

პილოტი იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ ჩართო ფორსაჟი, რომ მიქნას არ დანარცხებოდა.

როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, F-22-ს ძალიან მაღალი საბოლოატეო მახასიათებლები აქვს, ბრიტანულ ავიასალონზე მომხდარი კონფუზი კი პილოტის ზურვულ მოშალევისა და არასაკმარისი კვალიფიკაციის ბრალია.

სალონზე წარმოდგენილ ვერაბულ გამანადგურებელთან აღსანიშნავა მრავალმზიბრივი EF-2000 TYPHOON-ი, რომელსაც გამოფენის მსვლელობისას ფართო რეკლამირებას უწყვედა კონსორციუმი EUROFIGHTER-ი. EF-2000 TYPHOON-ის სხვადასხვა კონფიგურაცია წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს და იტალიურმა კომპანია ALENIA AERONAUTICA-მ ერთ-

ერთი პეილიონში განთავსებული იყო პილოტის კაბინის სადემონსტრაციო მოდელი.

„ტიაფუნს“ ტოლის არ უფედა შეფერილი გამანადგურებელი JAS-39 GRIPEN-ი. კომპანია SAAB-ის სვლმძებნელობის თქმით, უახლოეს მომავალში შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე 200-ზე მეტი ასეთი თვითმფრინველი გაიფედა. გამანადგურებლის გარდა, შეფერვა კომპანამ წარმოადგინა ასევე ტურბოპროპუტული თვითმფრინველი SAAB 2000, შორი რადიოლოკაციური აღმომჩენისა და მართვის კომპლექსით ERIEVE.

ერთიან რუსულ ექსპოზიციამში ცენტრალური ადგილი ეთმობდა გამანადგურებლებს: Cy-30M12-ს, Cy-27CKM-ს, Cy-35-სა და MiG-35-ს, სახომადლი ბაზირების გამანადგურებელ MiG-29K/KY-ს, გამანადგურებელ-ბომბდამხრე Cy-32-ს (Cy-34-ის სექსპორტი ვარიანტს), ექსპერიმენტულ თვითმფრინავს Cy-47-ს, ასევე სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავს Як-130-ს. სლოვაკიის სამხედრო-საკურო ძალების ორი მოდერნიზებული გამანადგურებელი MiG-29 ავიასალონზე პარიზში 14 ივლისს გამართული სამხედრო აღლუმის შემდეგ ჩაფრინდა. მან-





ამე კი სლოვაკეთის MiG-29-ებს თავიან-  
თი გაზრდილი შესაძლებლობები NATO-ს  
სამხედრო სწავლებებში აჩვენეს.

ახალი MiG-35-ების თაობაზე კომპანია  
MiG-ის წარმომადგენლებს განაცხადეს, რომ  
უახლოეს მომავალში დაგეგმილი შექვეყნე-  
ბისათვის ამ ტიპის 500 მრავალმზიანიობრივი  
გამანადგურებლის მშენიანება.

შვედომტრნითან ყურადღებას იმსახურებ-  
და შემდეგი თაობის ამერიკული დამრტყე-  
ლი შვედომტრნი X2, რომელიც კომპანია  
SIKORSKY AIRCRAFT-ის შეიმუშავა. უახ-  
ლოეს მომავალში იცვლება X2-ის პროტოტი-  
პის გამოცდა. ვარაუდობენ, რომ X2 მსოფლი-  
ოში ყველაზე სწრაფი საბრძოლო შვედომ-  
ტრნი იქნება. თავისი ჩქაროსნული მასა-  
სი-აღებლებით ის საათში 147 კილომეტრზე  
შტის აჭარბებს აწმ-ის არმიაში არსებულ



ვეტერანი ბომბდამშენი „ვულკანი“



F-22 Raptor



შვეულმფრენ APACH-ებს და თითქმის ორჯერ შვეულმფრენ UH-60 BLACK HAWK-ებს, რომელიც საათში 250 კილომეტრს ავი-თარებს.

შვეულმფრენმწიქნელობაში ავიასალონიზე დაღუპულ მნიშვნელოვან კონტრაქტორად გამოსარჩევია კომპანია AGUSTAWESTLAND-სა და BOEING-ს შორის შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებულია იტალიაში სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენ CH-47F CHINOOK-ების ერთობლივი წარმოება.

რაც შეეხება რუს მწარმოებლებს, ავიასალონიზე მათ წარმოადგინეს საცდელზე მხარდაჭერის შვეულმფრენი KA-52, სტრანსპორტო-საბრძოლო Ми-35, Ми-35П და Ми-235М, საბრძოლო-სატრანსპორტო Ми-171Ш და Ми-178-5, მძიმე სატრანსპორტო Ми-26, მრავალმხინძრივი KA-60, რადიოლოკაციური თვალთვალის შვეულმფრენი KA-31, სახიმალღო ნავსაწინააღმდეგო KA-28 და სავაშანი ბაზირების სამხედრო-სამშენველო შვეულმფრენი KA-27ПС.

რუსულმა „აიბორნილიზმმა“ და კომპანია AGUSTAWESTLAND-მა ფარნობოში ხელი მოაწერეს საბაზო შეთანხმებას შვეულმფრენ AW139-ების რუსეთში ერთობლივი წარმოების თაობაზე.

სალონის მონაწილეთა დიდი ყურადღებას დაიმსახურა უპილოტო სფეროში აპარატების პერსპექტივულმა ნიმუშებმა.

მაგალითად, კომპანია BAE SYSTEMS-მა წარმოადგინა ახალი უპილოტო სფეროში აპარატის MANTIS-ის პროტოტიპი, სადაზღვეო უპილოტო სფეროში აპარატ HERTI-ს ნიმუში, ასევე მისი საბრძოლო ვარიანტი FURY. ვარაუდობენ, რომ MANTIS-ი კონკრეტული გაუმჯობესებული REAPER-ს, რომელსაც ამჟამად დიდი პოპულარობის სამხედრო-საპირი ძალებს ავლენთა და ერაყში იყენებენ. მას 2008 წელს გამოცდამ, პირველი ვაერენა კი მომავალი წლის დადგეს არის დაეგეგმილი.

მეორე უპილოტო სფეროში აპარატ HERT-ი წინამძღობელი მილითეკიკებისაგან განსხვავდება ახალი საბორტო მონივრობით.



ბოი, რაც ზრდის მის საიმედოობას და აუვ-ვლითებს აპარატის ტექნიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს, მათ შორის მისი დამოუკიდებლობის საშუალებას იძლევა. FURY-ს საბრძოლო ვარიანტი სადაზღვეო ვერსიისგან განსხვავებით აღჭურვილია ახალი მართვითი რაკეტებით LMM, რომელიც THALES UK-მ შემუშავა, და ათაღის დამზრების სისტემით.

აქტიუკლამა კორპორაცია NORTHROP GRUMMAN-ს სტრატეკურ უქაზიზიციანზე წარმოადგინა ფრანსინახილი უპილოტო სფეროში აპარატ MQ-8B FIRE SCOUT-ი, მალღივი უპილოტო სფეროში აპარატ ფრენის მღალი სანვრღილითი RQ-4 GLOBAL HAWK-ი, მისი საზღვაო ვერსიის BAMS (BROAD AREA MARITIME SURVEILLANCE) ჩაიღილი, ასევე სასკერი საწყუყასამრთი KC-45A, რომელიც კომპანია EADS-ის საძიქვალუ ლანერ A330-ის ბასაზე შექმნა. 2009 წლის ბოლის GRUMMAN-ი აუგებს და გამოცდის თვითმფრინავ-საწყუყამსრთილის KC-45-ის ოთხ საცდელ ნიმუშს. KC-45 პრეტყუინის 35 მღიდ დღღარად დირეუბლ განმზრებით ტენდერში მონაწილიობს.

ანტროივის სახღილის საყიცივი საყენიორტეკიკურმა კომღეკსმა და სფერანგეთის THALES-ს საღიზე წარმოადგინეს AH-74-ის მიღერინიზებული ვერსია, რომელიც მღლე მონაწილიობას მიღლებს ინღიეთის

სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის სადატრუღი თვითმფრინავების მიწილების ოთახზე გამოართულ ტენდერში.

გამოფრანზე საყიცივი ტყეივის გარდა ფრთღლ იყო წარმოადგენილი პერსაწინააღმდეგო თაღეცივის საშუალებები. რუსეთმა წარადგინა საზენიტო-სარაკეტი კომღეკები БУК-М29а, Т0Р-М29 და ПЕЧ0РА-2М-ი.

თავის მხრე, აშშ-მ ინღიეთს შესთავაზა მიღიეიკაცია PAC-3-ის საზენიტო-სარაკეტი კომღეკის PATRIOT-ი (PATRIOT ADVANCED CAPABILITY) და მისი ტაქტიკური ტეკიკური მახასიათებლების გასაცინაღ ინღიეთის საზღვრო დღეღეცივისთვის ორი დაზრუღილი პრღიენივი გამართი. მიუხეღავად ასეიო საინფორმაციო შეწიოლისა, ინღიეთმა ნიღღად არ გამოზატა PATRIOT-ების შეტების ოთახზე თავისი პრზიეცია.

რაც შეეხება დაღუბლ კონტრაქტებს, აღბიო, ეყუღალზე მნიშვნეღუნავად უნდა მიეწინიოთ AIRBUS FREIGHTER CONVERSION GMBH (AGC)-სა და ლონზინგური კომპანია AER-CAP-ს (ნიღერღანღები) შორის დაღუბული კონტრაქტი 30 საძიქვალუ ლანერ A320/ A321-ის სატვირთო თვითმფრინავზე კონვერტიციის ოთახზე.

საბორტე მოწყობიღილების სფეროში დაღი ნიმუშებს შორის აღსანიშნავია კომპანია northrop grumman-ის რადიოლოკაციური სფერო, AN/APG-81 ელტეკრირული სკანირების აქტიური ფაზირეუბლი საბტენე ცსაუროთ, რომელსაც მესუიეი ოთახის გამანდგურეუბლ F-35 LIGHTNING II-ზე დაყენებენ.

ამრღად, შეიღებება ოთყეს, რომ ავიასალონიზე არ ყოფიღა წარმოადგენილი სესსაციური სახღეუბი, პრღიტიკები და კონვერტიუღური ნიმუშები. მაგალითად, RAYTHEON-ის მიერ წარმოადგენილი მიმართული ჟრღივის სისტემა მხოღიღ 20-30 წლის წინანღილი საყენიორი მიღიომების ანარეღლა ამსითან, უყეე უახღოუს 10-15 წელიწადში შეიღებება შექმნას ტეკნიოღიეები, რომლებიც კარინაღურად შეყუღლის შეტარღების სასესს. საყითსავი ის არის, პრღეღად ენ შექმნის.



აერობუსი A-380



# ფრთხილად, ჯამშუშები "აკადემიკოსის" მანტიაში გამოეწყვნენ!

მართლაც საივარია გლობალური საინფორმაციო ჟიურის ეპოქაში ცხოვრება, ალბათ, მალე სექსამსახურებს „ცოცხალი ჯამშუშები“ აჯარვ დასტურებს. საჭირო ინფორმაციის 90% უკვე ღია წყაროებში შეიძლება მოიძიო. თუ არ დინაზრებ და ისიც იცი, როგორ და სად ეძებო, ბევრი ჭკვიის სექსამსახურების საიდუმლო გემბები და სექციატრეკები შეიძლება დიდი დანახარჯების გარეშე გაიმოწროს. თუმცა ამ საქმეს მაღალი დონის პროფესიონალი ანალიტიკოსის სჭირდება.

გასულ კვირას ინტერნეტში შემოხვევით გერმანული ჟურნალ „ფოკუსის“ პატარა ინფორმაციას წავაწყდი. ავტორი უჩინოა რუსული სამყენიერი აკადემიის მიერ გერმანული ჩინოვიკებისთვის რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდის სახელობის ორდენების გულუხვად დარიცხვებზე მოვითხრობდა. ცნობილია, თუ როგორ „უღვას“ პუტინის გერმანია – აქ ის სუიო წველიწაღას (1985-1990წწ.) ჯამშუშობდა, ძველი „მეგობრებზე“ შეშორნა და, ალბათ, ამტოვნიცაა, რომ უკვე ასსზე მეტი გერმანული პოლიტიკოსი, მეცნიერი, სამხედრო ოფიცერი და პოლიციის მაღალჩინოსანია დაჯილდოებული ამ პეტრე დიდის ორდენით“. სულ ახლახან კი ამგვარი მოულოდნელი „სისარული“ ორდენზე ბავარიისა და ბრანდენბურგის მიწების პრემიერ-მინისტრებმა – გოტფრედი ბეკსტაინმა და მათის პლაცეტკაც განიკადეს.

მხოლოდ ამის შემდეგ დანტრეკდა გერმანიის კონტრდაზვერვა (კონსტიტუციის დაცვის უწყება) ამ საეჭუო აკადემიის ისტორიითა და წვერებით, რომლებიც ასე გულუხვად არივებენ ორდენებს.

ჩვენი გადამწყვეტილი დამატებითი ინფორმაციის მოძიება ამ პრესტაუელი სახელწოდების, მაგრამ საიდუმლო მისის მქონე „უშიშროების, თავდაცვისა და მართლწესრიგის პრობლემების აკადემიის“ შესახებ და მართლაც საგანგაშო დასკვნამდე მივდივით.

უბრველესად უნდა ითქვას, რომ ერთხელ კოლე დავრწმუნდით, – დღევანდელი რუსეთი ერთი უზარმაზარი „კორპორაცია“, რომელსაც კაგებუს ოფიცრები მართავენ და სექსამსახურები ამკარაბენ თუ ფარულად მონაწილეობენ ცველა! პოლიტიკურ-ეკონომიკური გადამწყვეტილების მიღებაში. ამიტომ არის, რომ რუსეთში, რომლის ხელისუფლების ცველან მტერი ელანება, სამყენიერი ორგანიზაციები და სხვადასხვა ჭკვიის მეცნიერთა კონტაქტები, ისევე როგორც საბჭოთა იმპერიის დროს, რეორგანიზაცია, დღესაც სექსამსახურების საიდუმლო გემბებს ექსახურებიან.

## როგორ დააარსა ევ-ეს-ბეს დირექტორმა პუტინმა „აკადემია“

